სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/34

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024

**სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამიდან „მშენებლობა“, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - „სამოქალაქო ინჟინერია“, გადასვლის შემთხვევაში სწავლის საფასური შენარჩუნების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2024 წლის 7 ივნისის №0000634382 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის უცხო ქვეყნის მოქალაქე 19 სტუდენტს (იხ. დანართი), რომლებსაც უწევთ გადასვლა რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამიდან „მშენებლობა“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - „სამოქალაქო ინჟინერია“, შეუნარჩუნდეთ სწავლის საფასურის ღირებულება წელიწადში 5 500 ლარის ოდენობით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ზაზა სოფრომაძე**